



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქართული  
საგარეო  
კულტურის  
მემორიალი

# ლოცვანი



სველად გადმოგეძლი.

გამოცემა „ქობისა“,

თ ბ ი ლ ი ს ი

მსწრაფლ-მბეჭდავი „ქობისა“ მოსკოვის ქ., № 5.

1908



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

K 333.843  
3.09



საქართველოს აკადემიის  
ეროვნული ბიბლიოთეკა





ტერი, და შემდგომი იმისი ორი თითი; ამითი ცხადად ვაჩვენებთ წმიდისა სამებისა სამხროვნების თანასწორობასა და ერთ-ანსებობასა და ამასთანავე შეუკრებელბასა, ამისთვის რომ, როგორც წმიდა სამებაში არ არის პირველი და უკანასკნელი, უმეტესი და უმცირესი დღთაებისა, არამედ სრულნი არიან სამნი პირნი, თანაარსნი და თანასწორნი, ეგრეთცა სამი თითის თანაშემწეობითა და შეერთებით ვხატავთ მათს თანასწორობასა და განუყოფლობასა, და ეგრეთვე შეუკრებელბასა. ხალხი დასდებთ თითებს პირველად შებლზედა, რომელსაც შეეხება თავი ჯვარისა, და მეორედ წელზედა, რომელსაც შეეხება ბოლო ჯვარისა, მესამედ მარჯვენა მხარზედა, და მეოთხედ მარცხენაზედა. ამ გვარად გამოდის ოთხ-კერძად გართხმული ჯვარი, რომელსა ზე და ჩვენთვის ჯვარცმულმან უფალმან იესო ქრისტემან შემთქმარიბნა ერთად უფელნი ერთნი, განბნულნი კიდეთა ზედა ქვეყანისათა. და ესრეთ, ჯვარის პირზედა გამოსახვითა სამითა თითითა, როგორცა ვსთქვით ზემოდ, ჭეშმარიტად ხატვი-იცემების დიდებუბის ჩვენგან, გამოუთქმელი ძალითა, ხატვისანი ჯვარი.



**ლოცვანი ზემდგომად ძილისაგან  
აღდგომისა.**

რაჟამსწილსდგე ძილისაგან, განეშორე  
სარეცელსა და ბრძანე:

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთაჲთა,  
უფალო იესო ძირისტე, ლმერთო ჩვენო,  
შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ.

დიდება შენდა, ლმერთო ჩვენო, დი-  
დება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის-მცე-  
მელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომე-  
ლი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავ-  
სებ მაღლითა შენითა! საუნჯეო კეთილ-

თაო, მომნიჭებლო ცხოვრებისაო, მო-  
 ვედ ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ  
 ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახი-  
 ერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო,  
 წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ,  
 (გ-გზის).

ღიდება მამასა და ძესა და წმი-  
 დასა სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი  
 უკუნისამდე, ამინ.

შოვლად-წმიდაო სამებაო, შეგვიწყ-  
 ალენ ჩვენ: უფალო, გვიხსენ და გვილ-  
 ხინე კოდვათა ჩვენთაგან, შეუფეო, შეგ-  
 ვინდევე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო,  
 მოიხილე და განჰკურნენ უძლოურებანი  
 ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (გ-გზის).

ღიდება, აწდა.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!

წმიდა იყავნ სახელი შენი,

მოვედინ სუფევა შენი,

იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა,  
 ეგრეცა ქვეყანასა ზედა,

პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს,

და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,  
ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა  
მათ ჩვენთა,

და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,  
არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

და ზედა მუხლები ესე:

აღდგომილნი ძილისაგან შეგვივრდე-  
ბით, შენ, სახიერ, და ანგელოსთა გალო-  
ბასა გილაღადებთ, შენ, ძლიერო: წმიდა  
ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ, ლმერ-  
თო ჩვენო, ლეთის-მშობელისა-მიერ შე-  
გვიწყალენ ჩვენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა  
სულსა.

ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე,  
შთალო, გონებაჲ და გული ჩემი განა-  
ნათლენ, და ბაგენი ჩემნი აღახვენ გა-  
ლობად შენდა, წმიდაო სამებაო: წმიდა  
ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ, ლმერ-  
თო ჩვენო, ლეთის-მშობელისა-მიერ შეგვი-  
წყალენ ჩვენ.

აჲ და მარადის, და უკუნითი უკუნისამ-  
დე. ამინ.



მეყვსეულად მსაჯული იგი მოვიდეს და თვითოეულისა საქმენი განშიშვლდენ, არამედ შიშით ღალად-ვჭყოთ შუალამესა: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ, ღმერთო ჩვენო, ღვთის-მშობელისა-მიერ შეგვიწყალენ ჩვენ.

შთალო შეგვიწყალენ, (იბ-გზის)

და ლოცვა ესე:

ძილისაგან აღდგომილი გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულ-გრძელებისა შენისათვის, არა განჭრისხენ ჩემ უძღებსა და ცოდვილსა ზედა, და არა თანა წარმწყმიდე მე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ, ჩვეულებისა-ებრ, კაცთ-მოყვარე მექმენ მე; და უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მდებარე აღმადგინე აღმსობად და დიდების-მეტყველებად ძალსა შენსა; და აწცა განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი, აღაღე პირი ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა, და გულისხმის-ყოფად გზათა შენთა, და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად სახელსა შენსა აღსარებითა გულისათა, დიდებად და



გალობად ყოვლად-პატოისანსა სახელსა  
შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სუ-  
ლისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუ-  
ნისამდე, ამინ.

სხვა ლოცვა:

ღიდება შენდა, მეუფეო, ღმერთო  
ყოვლისა-მპყრობელო, რომელმან საღმრ-  
თოჯთა კაცთ-მოყვარებისა შენისა მეცნი-  
ერებითა, ღირს-მყავ მე, ცოდვილი და  
უღირსი, აღდგომად ძილისაგან და შეს-  
ლვად წმიდასა ტაძარსა შენსა. შეიწირე  
ხმაჲ ვედრებისა ჩემისა, ვითარცა წმიდა-  
თა და საცნაურთა უხორცოთა ძალთა  
შენთაჲ, სათნო-იყავ გულითა წმიდითა  
და სულითა მდაბლითა შეწირვად უღირ-  
სთა ამათ ბაგეთა ჩემთაგან ქებაჲ, რათა  
მეცა ზიარ-ვიქმნე ბრძენთა მათ ქალწულ-  
თა თანა, ბრწყინვალითა ლამპრითა სუ-  
ლისა ჩემისათა, რათა ვადიდებდე შენ,  
თანა მამით და სულით წმიდითურთ,  
ღვთისა სიტყვაო, ამინ.





ლოცვანი შუა-ღამისანი,

თქმული იოსებ გამომეტყველისა-მიერ.

მოვედით თაყვანის-ვცეთ მეუფესა  
ჩვენსა ღმერთსა.

მოვედით თაყვანის-ვცეთ და შეუვრ-  
დეთ ძრისტესა, მეუფესა, ღმერთსა ჩვენსა.

მოვედით თაყვანის-ვცეთ და შეუვრ-  
დეთ თვით ძრისტესა, მეუფესა და ღმერთ-  
სა ჩვენსა.

უსალმუნნი კვ.

შტალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ  
ჩემდა, ვისა მეშინოდის? შტალი შესავედ-  
რებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან  
შევძრწუნდე? მოახლებასა ჩემ ზედა უკე-  
თურთასა შექმად ხორცთა ჩემთა, მაქირ-  
ვებელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი, იგინი  
მოაუძლოურდეს და დაეცნეს. ზან-თუ-ეწყოს  
ჩემ ზედა ბანაკი, არა შეეშინოს გულსა

ჩემსა, აღ-თუ-ჰდგეს ჩემ ზედა ბრძოლამ, ამისთვისცა მე შენ გესაუ. მრთი ვითხოვე შეთვისაგან, ესევე ვითხოვო: დამკვიდრებად ჩემდა სახლსა შეთვისასა ყოველთა ღღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ხილვად ჩემდა შევნიერება შეთვისა და მოხილვად ტაძარი მისი; რამეთუ დამიფარა მე კარავსა შინა მისსა ღღესა შინა ბოროტთა ჩემთასა, დამფარა მე დაფარულსა კარვისა მისისასა, კლდესა ზედა აღმამალლა მე. და აწ ესერა აღამალლა თავი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, გარე-მოვადეგ და შევჰსწირე კარავსა შინა მისსა მსხვერპლი ქებისა და ღალადებისა, ვაქებდე და ვუგალობდე შევალსა. ისმინე, შევალო, ხმისა ჩემისა, რომლითა ღალად-ვჰყავ, მიწყალე მე და ისმინე ჩემი. შენ გრქვა გულმან ჩემმან: შევალი მოვიძიო; გამოვიძია შენ პირმან ჩემმან, პირი შენი, შევალო, მოვიძიო. ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ნუ მიიქცევ რისხვით მონისა შენისაგან; შემწე ჩემდა იყავ, ნუ შეურაცხ მყოფ მე და ნუ დამაგდებ მე, ღმერთო, მაცხოვარო ჩემო. რამეთუ მამამან ჩემმან და ღღელა-

მან ჩემმან დამაგდეს მე, ხოლო შუალმან  
 შემეწყნარა მე. ჰსჯულიერ მყავ მე, შუა-  
 ლო, გზასა შენსა და მიძელე მე აღაგთა  
 შენთა წრფელთა, მტერთა ჩემთათვის. ნუ  
 მიმცემ მე სულთა მაჭირვებელთა ჩემთასა,  
 რამეთუ აღჰსდგეს ჩემ ზედა მოწამენი  
 ცრუნი, და უტყუვა სიცრუემან თავ-  
 სა თვისსა. მრწამს მე ხილვად კეთილი  
 უფლისა ქვეყანასა მას ცხოველთასა. და-  
 უთმე შუალსა; მხნე იყავნ და განძლიერ-  
 დან გული შენი, და დაუთმე შუალსა.

ფსალმუნი ოვ.

ხმითა ჩემითა უფლისა მიმართ და-  
 ლად-ვჰყავ, ხმითა ჩემითა ღვთისა მიმართ,  
 და მომხედნა მე. ღლესა ჭირისა ჩემისასა  
 ღმერთი გამოვიძიე, ხელითა ჩემითა ლამე  
 მის წინაშე და არა ვჰსცეთ, წარეწირა  
 ნუგეშინის-ცემა სულსა ჩემსა. მოვიხსენე  
 ღვთისა და ვიხარე, ვჰზრუნევდ და სულ-  
 მოკლე იქმნა სული ჩემი. მიეწიფნეს სახ-  
 მილაგთა თვალნი ჩემნი; შევჰსძრწუნდი  
 და არა ვიტყოდი. მიკონებდ დღეთა  
 მათ პირველთა, და წელიწადნი საუკუ-  
 ნენი მოვიხსენენ; და ვიწვრთიდ ლამე გუ-

ლითა ჩემითა, ვჭზრუნევდ და შეზრუნ-  
 ბულ იყო სული ჩემი: ნუ უკუნისამდე გან-  
 მაგდოს მე შუალმან, და არლარა შეჰს-  
 ძინოს სათნოებად მერმე? ანუ სრუ-  
 ლიად ნუ დააყენოსა წყალობაჲ მისი,  
 აღასრულა სიტყვა მისი თესლითი თეს-  
 ლადმდე? ნუ დამეივიწყოსა შეწყნარებაჲ  
 მისი ლმერთმან, ანუ დააყენნეს მოწყა-  
 ლებანი მისნი რისხვითა მისითა? ლავჰსთქუ:  
 აწლა მიწყიეს, ესე არს განახლება მარ-  
 ჯვენისა მალლისა. მოვიხსენე საქმეთა  
 შეფლისათა, რამეთუ მოვიხსენო მე დასა-  
 ბამითგან საკვირველებათა შენთა, და  
 ვიწვრთიდე ყოველთა მიმართ საქმეთა  
 შენთა, და დაბადებულთა შენთა მიმართ  
 ვჭზრახვიდე. ლმერთო, წმიდასა შინა არს  
 გზა შენი, ვინ არს ლმერთ დიდ, ვითარ  
 ლმერთი ჩვენი? შენ ხარ ლმერთი, რო-  
 მელმან ჰყვი საკვირველი, აუწყე ერთა-  
 შორის ძალი შენი, და იხსენ მკლავითა  
 შენითა ერი შენი: ძენი იაკობისნი და  
 იოსებისნი. ბიხილეს შენ წყალთა, ლმერ-  
 თო, გიხილეს შენ წყალთა, და შეეშინა,  
 შეჰსძრწუნდეს უფსკრულნი. ლიდ-ძალითა



ოხრითა წყალთათა, ხმა მოჰსცეს ღრუ-  
ბელთა, და რამეთუ ისარნი შენნი ვლენ-  
ნან. ხმა ქუხილისა შენისა ურმის-თვალ-  
სა. ბამოჰსჩნდეს ელვანი შენნი სოფელ-  
სა. შეიძრა და შეძრწუნებულ იქმნა  
ქვეყანა. ზღვასა ზედა არიან გზანი შენნი  
და ალაგნი შენნი წყალთა ზედა მრავალთა,  
და კვალნი შენნი არა საცნაურ იქმნენ.  
შძელუ, ვითარცა ცხოვარსა, ერსა შენსა,  
ხელითა მოსესითა და ჰარონისაჲთა.

ფსალმუნი რლპ.

შუალო, გამომცადე მე და მიცან მე.  
შენ ჰსცან დაჯდომაჲ ჩემი და აღდგომაჲ  
ჩემი; შენ გულის-ხმა-ჰყვენ ზრახვანი ჩემ-  
ნი შორით. ალაგნი ჩემნი და ნაწილნი  
ჩემნი შენ გამოიკვლიენ, და ყოველნი  
გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ. რამეთუ  
არა არს ზაკვა ენასა ჩემსა: აჰა, შუა-  
ლო, შენ ჰსცან ყოველი უკანასკნელი ღ  
დასაბამისა, შენ შემქმენ და დამდევე ჩემ  
ზედა ხელი შენი. საკვირველ იქმნა ცნო-  
ბა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ  
შეუძლო მას. შიდრემე ვიდე სულისა  
შენისაგან, და პირისა შენისაგან ვიდრე-



მე ვივლტოდე? აღ-თუ-ვჭხდე ცად, შენ  
 მუნ ხარ, შთა-თუ-ვჭხდე ჯოჯოხეთად, ახ-  
 ლოსვე ხარ. აღთუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემ-  
 ნი განთიად და დავემკვიდრო დასას-  
 რულსა ზღვისასა, და რამეთუ მუნცა ხე-  
 ლი შენი მიძლოდეს მე, და მარჯვენემან  
 შენმან შემიწყნაროს მე. და ვჰსთქუ:  
 ბნელმან სამე დამორგუნოს მე, და ლამე  
 განმანათლებელ იყოს ფუფუნებისა ჩემისა,  
 —რამეთუ ბნელი შენ-მიერ არა დაბნელ-  
 დეს, და ლამე, ვითარცა დღე, განათლდეს;  
 ვითარცა ბნელი მისი, ეგრეცა ნათელი  
 მისი. რამეთუ შენ დაჰბადენ თირკმელნი  
 ჩემნი და შემიწყნარე მე დედის მუცლით  
 ჩემითგან. აღვიარო შენ, რამეთუ საშინე-  
 ლად საკვირველ იქმენ. საკვირველ არიან  
 საქმენი შენნი, და სულმანცა ჩემმან უწყ-  
 ყის ფრიად. არა დაეფარა ძვალი ჩემი  
 შენგან, რომელი ჰვქმენ დაფარულად,  
 და სიმტკიცე ჩემი ქვესკნელთა ქვეყანისა-  
 თა. რომელ იგი არა მექმნა, იხილეს  
 თვალთა შენთა, და წიგნსა შენსა ყო-  
 ველნივე შთაიწერნენ, დღისი დაიბადნენ  
 და არღარა იყოს ნაკლულეფანება მათ



შორის. ხოლო ჩემდა დიდად სადიდებელ  
 იყვნეს მეგობარნი შენნი, ღმერთო,  
 ფრიად განძლიერდეს მთავარნი მათნი.  
 აღვრაცხნე იგინი და უფროს ქვიშისა  
 განმრავლდენ; განვიღვიძე და მერმეცა მე  
 შენთანა ვარ. უკეთუ მოსწყვედ ცოდვილ-  
 თა, ღმერთო! კაცნი მოსისხლენი განმე-  
 შორენით ჩემგან. რამეთუ მხდომ ხართ  
 გულის-ზრახვითა თქვენითა; დაიპყრნენ  
 ამოვებითა ქალაქნი შენნი. ანუ არა,  
 მოძულენი შენნი, უფალო, მოვიძულენა  
 და მტერთა შენთა ზედა განვჰკფდი? სი-  
 ძულილითა სრულითა მოვიძულენ, და  
 იგინი მტერად შემექმნნეს მე. ზანმცადე  
 მე, ღმერთო, და ჰსცან გული ჩემი; გან-  
 მიკითხე და გულის-ხმა-ჰყვენ ალაგნი ჩემ-  
 ნი; და იხილე არს თუ გზა უჰსჯულო-  
 ებისა ჩემთანა, და მიძლოდე მე გზასა  
 მას საუკუნესა.

დიდება, აწდა, ალოილუია (გ-გზის).  
 უფალო შეგვიწყალებ (გ-გზის). დიდება,  
 აწდა.

აწ გულის-ხმა-ჰყავ, სულო ჩემო,  
 მეყვსეულად მოსლვაჲ იგი მსაჯულისა,

აღსდევ ძილისაგან შუა-ლამე და ჰხმობდი:  
 წმიდა-ხარ, წმიდა-ხარ, წმიდა-ხარ, შენ,  
 ღმერთო ჩვენო, ღვთის-მშობელისა-მიერ  
 შეგვიწყალენ ჩვენ.

მე დაწვწვ და დავიძინე და განვიღვი-  
 ძე, რამეთუ უფალი მწე შეუა მე.

ეს. 8, 5.

ჰოველნივე ვიღვიძებდეთ და ძრის-  
 ტესა მივეგებოდეთ, შორწმუნენო, სიმრავ-  
 ლითა ზეთისათა და ლამპართაჲ ბრწყინვა-  
 ლებითა, რათა სასძლოსა მას შინაგან  
 ღირს ვიქმნნეთ, რამეთუ, რომელი კარსა  
 გარეგან დაშთეს, ურგებად ჰხმობდეს  
 ღვთისა მიმართ: შემიწყალე მე, უფალო!

შუა-დამე აღვსდგი აღსარებად შენდა განკით-  
 ხვათათვის სიძარღვისა შენისათა.

ეს.  
 118, 62.

ჰამსა ლოცვისასა შუაღამესა, უცოდ-  
 ველო მაცხოვარ, გონებაჲ გულის-ხმის-  
 ყოფისა მომბადლე, ღმერთო ჩემო, და შე-  
 მიწყალე.

ღიდება.

რომელი ძალწულისაგან აღმოუბრ-  
 წყინდი სოფელსა, ძრისტე ღმერთო,  
 და მის-მიერ ძედ ნათლისად გამოგვაჩი-  
 ნენ, შეგვიწყალენ ჩვენ, ყოვლად-ძლიერო!

აწდა.

ღედაო ღვთისაო ყოვლად-წმიდაო,  
 ზღუდეთო ქრისტეანეთაო, იხსენ ერი შე-  
 ნი, რომელი დაუცხრომელად ჰლაღა-  
 დებს: დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო,  
 დიდება შენდა! მამაო ზეცათაო, დიდება  
 შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო,  
 დიდება შენდა! ძეო ყოვლად-ძლიერო,  
 დიდება შენდა. დიდება შენდა, ღმერთო  
 ჩვენო, დიდება შენდა, სულო შოვლად-  
 წმიდაო, დიდება შენდა! ღმერთო, სამე-  
 ბაო წმიდაო, დიდება შენდა, რამეთუ  
 შენდა შვენის დიდება და ქება, ამინ.





ლოცვა, სვედრებელი შოვლად-წმიდისა  
 ლეთის-მშობელისა მიმართ, თქმული წმიდისა  
 მამისა ჩვენისა მარკოზ მონაზონისა.

მრავალნი და დიდებულნი ნიქნი  
 მომეცნეს მე დამბადებელისა და ლეთისა  
 ჩემისაგან, ხოლო მე, უბადრუკი ესე,  
 ყოვლისავე მის მოვიწყე და უმადლო  
 ვიქმენ, ვბაძვედ პირ-უტყვეთა უგუნურ-  
 თა და მივემსგავსე მათ; დავგლახაკენ  
 სათნოებათაგან და განვმსდიდრდი ვნება-  
 თაგან, და ცოდვითა აღვივსე და სირ-  
 ცხვილითა, და ხვებულ ვიქმენ კადნიერე-  
 ბისა მისგან საღმრთოჲსა, დასასჯელ ვიქ-  
 მენ ლეთისაგან და მხილებულ ცოდვა-

თაგან, და სირცხვილელ ბოროტთა  
 საქმეთა ჩემთაგან. პირველ სიკვდილისა  
 მომკვდარ ვარ, და პირველ სასჯელისა  
 თვით დასჯილ, და პირველ საუკუნეთა  
 მათ სატანჯველთაგან ვიტანჯები გულის-  
 სიტყვათაგან სასო-წარკვეთილებისათა;  
 ამისთვის შენდა მომართ ხოლო მოვივლ-  
 ტვი, მსწრაფლ შემწისა ჩემისა, ლეთის-  
 მშობელო ყოვლად-წმიდაო, დედაო  
 მაცხოვრისაო, შენ გვედრები თანა-მდები  
 ესე ბევრეულისა მის ტალანტისა, რო-  
 მელმან ესე უძღებებით წარვაგე მამეული  
 იგი სიმდიდრეჲ, და უმეტეს ვპსკოდე მეძვი-  
 სა მის და მანასესა, და მდიდრისა მის  
 უწყალოჲსა, მონა ვიქმენ გულის-თქმათა,  
 შემწყნარებელ გულის-სიტყვათა ბოროტ-  
 თა, მეტყველ სიტყვათა ხენეშთა, და  
 უცხო ყოვლისაგან საქმისა კეთილისა.  
 აწ უკვე გვედრები: შეიწყალე სიგლა-  
 ხაკეჲ ჩემი და მწყალობელ ექმენ უძლო-  
 რებასა ჩემსა, რამეთუ დიდი კაღნიერებაჲ  
 გაქვს შენგან შობილისა ლეთისა მიმართ,  
 ვითარ იგი სხვასა არავის აქვს. შოველივე  
 ძალ-გიძს, დედაო ლეთისაო, და ყოვლისა-

ვე შემძლებელ ხარ, რამეთუ უზესთაეს  
 ხარ ყოველთა დაბადებულთა, და არა  
 რაჲ არს შეუძლებელ შენდა, რომელიცა  
 გენებოს. ნუ შეურაცხ-ჰყოფ ცრემლთა  
 ჩემთა, ნუ მოიძაგებ სულთქმასა ჩემსა,  
 ნუ განიშორებ ვედრებასა ჩემსა და ტკი-  
 ვილსა ამას გულისა ჩემისასა, არამედ  
 დედობრივითა მით მეოხებითა შენითა,  
 სახიერი იგი და ტკბილი ძეჲ შენი,  
 და ღმერთი ჩვენი მოწყალე ჰყავ ჩემ  
 ზედა, და ღირს-მყავ მე, ცოდვილი  
 ესე და უღირსი მონაჲ შენი, მოგებად  
 პირველსავე მას სათნოებათა სიკეთესა  
 და განშორებად უშვერებისა მისგან ვნე-  
 ბათასა, განთავისუფლებად ცოდვისაგან,  
 მონებად სიმართლისა, აღძარცვად სიხე-  
 ნეშესა მას ხორცთა გულის-თქმათასა, და  
 შემოსად ბრწყინვალებასა მას სულიერი-  
 სა სიწმიდისასა, მკვდარ-ყოფად სოფლისა-  
 გან, და განცხოველებად ღვთის-მსახურე-  
 ბით. მოგზაურსა თანა-მავალ მექმენ მე,  
 ზღვასა თუ განვვლიდე — შემწე მეყავ, და  
 მარადის მბრძოლ ექმენ მტერთა ჩემთა,  
 ეშმაკთა, რომელნი იგი მბრძვანან მე მალ-

ლით, მღვიძარებასა შინა განმადლიერე-  
 ბელ მექმენ, მეძინოს თუ — მფარველ მე-  
 ყავ, ქირსა თუ მივეცე — მიხსენ, სულ-მოკ-  
 ლებასა შინა ნუგეშინის-მცემელ მექმენ,  
 მავნებელთაგან გენმარინე, და ცილის  
 მწამებელთაგან უბრალო მყავ; სიკვდი-  
 ლად თუ მივიწიო, მსწრაფლ მეწიე, და  
 უხილავნი იგი მტერნი ჩემნი საშინელე-  
 ბით იოტენ, რათა ჰსცნან მტერთა მათ  
 ჩემთა, ბოროტთა ეშმაკთა, ვითარმედ მე  
 მონა შენი ვარ. ჰე, ყოვლად-წმიდაო დე-  
 დოფალო, ლვთის-მშობელო, შეისმინე  
 უძლური ესე ვედრებაჲ მონისა შენისა,  
 მოხედენ სულსა ჩემსა და განარინე ესე,  
 და მტერთა ჩემთაგან მიხსენ მე, და ნუ  
 მარცხვენ მე სასოებისაგან ჩემისა, სასოო  
 ყოველთა კიდეთა ქვეყანისათაო; მხურვა-  
 ლებაჲ ხორციელთა ბრძოლათა განაქარ-  
 ვე, და ღელვანი უჯეროჲსა გულის-წყრო-  
 მისანი დაამდოვრენ, ზვაობაჲ და სილაღეჲ  
 ამაოჲსა სიკბუკისა გონებისაგან ჩემისა  
 უჩინო ჰყავ, ოცნებანი იგი ღამისანი სულ-  
 თა მათ ბოროტთანი და გონებად-მოს-  
 ლვანი დღისანი არა წმიდათა გულის-

სიტყვათანი გონებისაგან ჩემისა მოსვენ;  
 ასწავე ენასა ჩემსა სიტყვაჲ კეთილი და  
 თვალთა ჩემთა მართლიად ხედვაჲ წრფელ-  
 სა მას გზასა სათნოებათასა; წარმართენ  
 ფერხნი ჩემნი ალავსა მას ღვთისა მცნე-  
 ბათასა, და ხელნი ჩემნი წმიდა ჰყვენ,  
 რათა ღირსებით აღვიპრობდე შეუფისა  
 მიმართ მადლისა. აღავსე პირი ჩემი ქე-  
 ბითა, რათა კადნიერებით ხადოდეს  
 ღმერთსა: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცა-  
 თა შინა, განახვენ სასმენელნი ჩემნი სმე-  
 ნად ჯერისაებრ თაფლისა უტკბილესთა  
 მათ სიტყვათა წმიდათა წერილთაჲსა,  
 და ქმნად მათდა მადლითა შენითა და  
 შეწვევითა. მომეც უამი სინანული-  
 სა და გულს-მოდგინებაჲ მოქცევისა,  
 უცნაურად სიკვდილისაგან მიხსენ მე  
 და დასჯილებისაგან გონებისა განმა-  
 რინე; მერმე განყოფასა ამას სული-  
 სა ჩემისასა უბადრუკთა ამათ ხორცთა  
 ჩემთაგან წარმომიდევ, სასოო ჩემო და  
 შემწეო, და ქირი იგი მოუთმენელი აღ-  
 მისუბუქე ულონოსა ამას. იწროებასა და  
 ქირსა შინა ნუგეშინის-მცემელ მექმენ,



ჰამრობასა მას მწარესა მეზვერეთა მათ  
 ჰაერისათა და მთავართა მათ ბნელისათა  
 თანა წარმხადე, ხელით-წერილნი მრავალ-  
 თა მათ ცოდვათა ჩემთანი განჰხეთქენ,  
 სახიერსა მას და კაცთ-მოყვარესა ლმერ-  
 თსა დამაგე, მარჯვენით მისსა სანატრელ-  
 სსა მას დგომასა, დღესა მას განკითხვი-  
 სსა, ღირს-მყავ, საუკუნეთა მათ და  
 მოუთმენელთა სატანჯველთაგან მიხსენ  
 ტკბილთა მათ და წარუვალთა კეთილთა  
 ლეთისათა მკვიდრად გამომაჩინე. ამას  
 აღსარებასა შევესწირავ შენდა, ყოვლად  
 წმიდაო ღედლოფალო, ლეთის-მშობელო,  
 ნათელო დაბნელებულთა ამათ თვალთა  
 ჩემთაო, და ნუგეშინის-მცემელო ქირვეუ-  
 ლისა ამის სულისა ჩემისაო, შემ-  
 დგომად ლეთისა სასოო ჩემო და შესავე-  
 დრებელო, შეიწირე ვედრებაჲ ჩემი სიტკ-  
 ბოვებითა და წყალობითა, და აღხოცენ  
 ყოველნი ბრალნი და უსჯულოებანი  
 ჩემნი, და ღირს-მყავ მე ცხოვრებასა ამას  
 დაუსჯელად ზიარებად უბრწუნელსა მას  
 და ყოვლად-წმიდასა ხორცსა და სისხლსა  
 ძრისტესა ძის და ლეთისა შენისაჲსა.

ხოლო საუკუნესა მას მერმესა მკვიდრად  
მიჩინე სერობასა მას ტკბილსა ზეცისასა,  
საშვებელსა სამოთხისასა, სასუფეველსა  
ცათასა, სადა იგი არს მკვიდრობა ყოველ-  
თა წმიდათა საუკუნითგან მოხარულთა  
ძრისტე იესოს-მიერ, უფლისა ჩვენისა,  
რომლისა არს ღიდება თანა მამით და  
სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და  
უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შეიწირე ლოცვაჲ ჩვენი, ყოვლად-  
წმიდაო ღვთის-მშობელო, დედაო ძრის-  
ტესო, ცაო და ქერუბინო, საყდარო უფ-  
ლისაო, სვეტო ცეცხლისაო, ღრუბელო  
ნათლისაო, ტაკუკო ოქროსაო, სავეგო  
მანანაჲთა, ცვარითა მით ზეცისათაო, კი-  
დობანო ჰსჯულისაო, კარავო სიწმიდისაო,  
მეოხო და მოღვაწეო ყოვლისა სოფლი-  
საო. შოვლად-წმიდაო დედოფალო,  
ღვთის-მშობელო, იღვაწე სულთა და  
ხორცთა ჩვენთათვის წინაშე ძისა შენისა  
და ღვთისა ჩვენისა.

წმიდაო ღმერთო. მამაო ჩვენო. უფა-  
ლო შეგვიწყალენ მ. მუხლთ-მოდრეკა  
(იბ-გზის).

მიწყალე მე, ლმერთო, დიდითა  
 წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყა-  
 ლებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაჲ ჩე-  
 მი. უფროს განმბანე მე უსჯულოებისა  
 ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმი-  
 დე მე. რამეთუ უსჯულოებაჲ ჩემი მე უწყ-  
 ყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს  
 მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და  
 ბოროტი შენ წინაშე ვჰყავ, რათა განვმარ-  
 თლდე სიტყვათაგან შენთა, და ვჰსძლო  
 ჰსჯასა შენსა. რამეთუ ესერა უსჯულოე-  
 ბათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა  
 მშუა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა  
 ჰეშმარიტებაჲ შეიყვარე, უჩინონი ზღაფა-  
 რულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხა-  
 დენ მე. მასხურო მე უსუბითა და განვ-  
 წმიდნე მე, განმბანო მე და უფროს თოვ-  
 ლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ  
 და სიხარული, და იხარებდენ ძვალნი  
 დამდაბლებულნი. ბარე მიაქციე პირი შე-  
 ნი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უს-  
 ჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. ბული წმიდაჲ  
 დაჰბადე ჩემთანა, ლმერთო, და სული  
 წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა. ნუ გან-

მაგდებ მე პირისა შენისაგან, და სულსა  
 წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც  
 მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა და  
 სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე.  
 მასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და  
 უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიხსენ მე  
 სისხლთაგან, ლმერთო, ლმერთო ცხოვ-  
 რებისა ჩემისაო: იხარებდეს ენა ჩემი  
 სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი  
 აღახვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ქებუ-  
 ლებასა შენსა. რამეთუ, უკეთუმცა გენება  
 მსხვერპლი, შემცა-მეწირა, არამედ საკურ-  
 თნი არა გთნდეს. მსხვერპლი ღვთისა არს—  
 სული შემუსრვილი. ზული შემუსრვილი  
 და დამდაბლებული ლმერთმან არა  
 შეურაცხ-ჰყოს. ძეთილი უყავ, უფალო,  
 ნებითა შენითა სიონსა, და აღეშენნენ  
 ზღუდენი იერუსალიმისანი. მაშინ გთნდეს  
 მსხვერპლი სიმართლისა, შესაწირავი და  
 ყოვლად დასაწველი. მაშინ შესწირნენ  
 საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარაკნი.

და ვალობანი.



გალოგანი შუა-ღამისანი.

გალოგა ა., ხმა 3.

სძლის-პირი.

რომელმან დაჰფარა სიღრმესა მდევარი, ესე ღღეს დაჰფარავს ქვეყანასა ზედა შვილთა მათ ზღვისა ხსნილთასა, ხოლო ჩვენ შემსხმელთაებრ ხმა-ვჰყოთ: შუალსა უგალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს.

შემეწიე მე, სიტყუასაებრ შენისა, და მაცხოვნე მე, და ნუ მარცხვენ მე სასოებისაგან ჩემისა.

ჰი, მიუწითომელო ღმერთო სახიერო, რომელმან გვასწავე ჩვენ ღავითის მიერ აღდგომაჲ შუა-ღამესა და მხურვალედ შევრდომაჲ შენი აღსარებით, ჩემიცა ვედრებაჲ შეიწირე აწ.

იქ. 117.

შემეწიე მე და ვჰსტხოვნდე, და ვაწ-  
ვრთადე მე სამართლეთა შენთა უოველსა  
ჟამსა.

ძრისტე, მეუფეო ჩემო და ღმერთო  
ჩემო, სოფლისა ნათელო და სიტკბოე-  
ბაო, რომელიცა შუა-ლამე იშევ ქალწუ-  
ლისაგან ჩვენთვის და მჩვრითა შეიხვიე, —  
დაჰხსენ ბრალთაცა ჩემთა საკრველნი.

იუჯენ ხელი შენი მაცხოვრად ჩემდა,  
რამეთუ მცნებანი შენნი აღვირჩიენ.

იქ. 178.

ძეთილთა მუშაკო, რომელმან წმიდა-  
ჰყავ ლოცვითა შენითა ჟამი ესე წმიდა  
ბრწყინვალე შუა-ლამისა, და გვასწავე  
შევრდომით ლოცვაჲ ჟამსა ამას, ჩემიცა  
შევრდომაჲ შეიწირე აწ. ღიდება.

ჰი, სამებაო, ერთო ღვთაებითა,  
შებლალული ძვირთაგან ცოდვათა მწიკუ-  
ლითა განმწმიდე და სავანე-მჰყავ სამ-  
კვიდრებელად შენდა, ვითარცა ძველ  
ოდესმე მამათ-მთავარი აბრაამ. აწდა.

ჰი, სძალო ღვთისაო, შოვლად-  
კუთხეულო, განმინათლე გული და გო-  
ნებაჲ ჩემი, წყვდიადითა შეპყრობილი,  
და განმაძლიერე, ძალწულო, შენდა,

ღვთისა დედისა, გალობად შუა-ღამესა.

**გ ა ლ ო ბ ა ზ .**, სძლის-პირი.

სამებოა შმიდაო, აღამაღლე რქაჲ  
ეკლესიისა დღეს მიუდრეკელად უზეს-  
თავს ბუნებათა სიმაღლესა ზედა სარწ-  
მუნოებისა შენისასა საფუძველსა შეურ-  
ყველსა, და მას შინა განმადლიერენ.

იქ. 125.

ძონა შენა ვარ: შეცნაურ მყავ შე და  
გულის-ხმა-ვეფნე წამებანი შენნი.

ძრისტე მეუფეო, სიტყვაო ღვთი-  
საო, ვედრებით გიღალაღებ: რომელმან  
მონისა შენისაგან ეამსა ამას შუა-ღამი-  
სასა ნათლის-ღებაჲ სიმდაბლით ჯერ-  
იჩინე, მეცა ბრალთა სიმრავლისაგან განმ-  
ბანე შოწყალებითა შენითა.

იქ. 132.

მოხილუე ჩემ ზედა და შემიწყადუე შე,  
სამართალთათვის მოეყვარეთა თანა სახელისა  
შენისათა.

მოხილუე ჩემ ზედა, მეუფეო, და  
შემიწყალუე, მხსნელო, და მდინარედ  
იორდანისად მომმადლენ ნაკადულნი  
ცრემლთანი, რათა ესტაროდე და აღ-  
გიარნე ცოდვათა ჩემთა სიმრავლენი,  
და ვჰპოვო შენ-მიერი შენდობაჲ.

ჭსტხოვნდეს სუჯი ჩემი და გაქებდეს შენ და სამაჳთაღნი შენნი შემეწიენ მე.

იქ. 175.

ცხოვრება ჩემი შევინებულ არს, და ყოველივე გვაძი ყოველით ასოჳთ და ნაწევარიითურთ, ხელნი და ფერხნი ჩემნი შებღალულ, და კვალად პირი და თვალნი ჩემნი, და საცნობელნი საესე ცოდვითა, — ძრისტე, მოწყალებითა განმბანე. — დიდება.

სამებაო სრულო და დაუსაბამო, ბუნებაო მარტივო, ერთ-არსებით საგალო-ბელო, სამ-თვითებაო, სამ-გვამოვანო, — გვაცხოვნენ ძრწოლით თაყვანის-მცემელნი ერთ-ღვთაებისა შენისანი, და ღირს გვყვენ სიწმიდით მონებად შენდა. აჴდა.

ჯაქვნი ბოროტნი ცოდვათა ჩემთანი განჰხეთქენ, უბიწოო ძალწულო, ოხითა შენითა, და დაჰხსენ ბრალთა ჩემთა საკრველნი, და ღამე და ღღე მომანიქე მე შევრდომად და ვედრებად შენდა, და ძრწოლით გალობად და დიდებად შენდა.

გ ა ლ ო ბ ა დ., სძლის-პირი.

რაჳემს წინასწარ-მეტყველმან იხილა



საიდუმლო დაფარული, განკვირვებულ-  
მან ლალად-ჰყო: რამეთუ დაჰსდევ წყა-  
ლობით სიყვარული მტკიცე, მამაო, და ძე  
შენი მხოლოდ-შობილი მოეც ძეთა კაცთა  
მომტევებელად ცოდვათა.

იქ. 109. სული ჩემი ხელთა შენთა შინა არს მა-  
რადის, და წსჯული შენი მე არა დავივიწყე-

შეგცოდე, უსჯულო ვიქმენ და  
განგარისხე, ზი, მრავალ მოწყალეო, და  
სასო-წარკვეთილებისა სიღრმესა შთავ-  
ხედ, არამედ გამომიჩნდი შუა ღამესა,  
ვითარცა მოწაფეთა ზღვისა ზედა, და  
საღმრთო დაყუდებამ მომანიჭე.

იქ. 143. ჭირთა და ღვაწლთა მზოვეს მე, და  
მცნებანი შენნი ზრახვა იყვნეს ჩემდა.

ღმერთო ჩემო, შემწეო ჩემო, გულთა და  
გონებათა განმკითხველო, უწყნი განზ-  
რახვათა ჩემთა და გონებისა და გულის-  
სიტყვათა ჩემთა დელვანი და შფოთნი,—  
ვითარცა იგი დაჰხსენ აღტეხამ ზღვისა,  
ეგრეთვე დააყუდე გული ჩემი.

იქ. 40. ესერა გულმან მითქვა მცნებათა შენთა,  
სიმაართლითა შენითა მაცნოვნე მე.

მილხინე, შემოქმედო ჩემო, შემინ-  
 დევ, ზი დამბადებელო ჩემო, შემინწყალე  
 და დამიტკბი, ლმობიერ-მექმენ და სოფ-  
 ლისა ამის ღელვათაგან მიხსენ საღრმოთო-  
 თა მარჯვენითა შენითა და აღმომიყვანე,  
 ვითარცა პეტრე. **ღიდება.**

პრსებით განუყოფელად, ხატოვ-  
 ნებით შეურევნელად, და სამებით ერთ-  
 არსებით ღვთის-გმეტყველებთ შენ, სწორ-  
 სა მეუფებითა და უფლებითა, და დიდსა  
 მას გალობსა გიგალობთ ქერუბინთასა,  
 სამებაო **წმიდაო.** **აწდა.**

ღაბნელეებული გული ჩემი, და გონე-  
 ბა წყვდიადითა აღსავსე და ცოდვისა  
 კაპანთა შინა და უდაბნოთა, და უგზოთა  
 შეცთომილი და შთაბნეული, — მიხსენ,  
 ძალწულო, რათა გაქებდე, და განმანათლე  
 შუა-ლამე ბრწყინვალედ.

**გ ა ლ ო ბ ა მ.** სძლის პირი.

ბნელისაგან ცოდვათასა გილაღადე-  
 ბენ შენ სულნი ჩვენნი, მრავალ-მოწყალეო  
**ღმერთო,** ნათლითა მით მიუაჩრდილებე-  
 ლითა განგვანათლენ და წარგვიმართენ  
 სლვანი ჩვენნი, მახარებელო მშვიდობისაო.

იქ. 41.

და მოვედინ ჩემ ზედა წყალობა შენი,  
 უფალო, და ძაცხოვარება შენი სიტყვისაებრ  
 შენისა.

ჰი საშინელო მსაჯულო ყოველთა  
 დაბადებულთაო, რომელი მონისა მიერ  
 შეპყრობილ-იქმენ შუა-ლამესა და შეკ-  
 რულ-იქმენ, და გვემულ, და ტანჯულ, —  
 დაჰხსენ კრულებაჲ ბორტთა ჩემთა.

იქ. 184.

მახსენ მე ცილის-წამებისგან კაცთასა,  
 და დავიცვნე მე მცნებანი შენნი.

მხსნელო და დამბადებელო უფალო,  
 ღმერთო კაცთ-მოყვარეო, აჰა ესერა,  
 ვითარცა უწყი, ფრიად შეგცოდე და გან-  
 გარისხე და მეშინის მე სამსჯავროსა  
 მისგან, რომელი ჩემთვის დაისაჯე — ნუ  
 დამსჯი.

იქ. 62.

შუა-დაშე ადვსდგი ადსარებად შენდა,  
 განკითხვათათვის სამართლისა შენისათა.

შეგინებათა მწიკვლითა სული ჩემი  
 შეებლალე ვნებათა მიერ, და გულის-  
 თქმათა ბორტთა კარი განუღე საწყა-  
 ლობელმან, და მეშინის მე სამსჯავროსა  
 მისგან, რომელი ჩემთვის დაისაჯე — ნუ  
 დამსჯი.

დიდება.

ზიგალობთ შენ, სამებაო სამ-თვითე-  
ბაო, სამ-გვაშოვანო: შმიდა-ხარ, შმიდა-  
ხარ, შმიდა-ხარ, მამაო და ძეო და სულო  
შმიდაო, ერთო ბუნებით, მარტივო და  
წრფელო, დიდებულო ანგელოზთა და კა-  
ცთაგან. აწდა.

ჰი უბიწოო მარიაჲ, შუა-ღამე მვე-  
დრებელსა შენსა მომეც ძალი და მაცხოვ-  
ნე მე, განმადლოიერე გალობად შენდა  
და ნუ დამაგდებ მე, მონასა შენსა, არამედ  
განმწმიდე ბრალთა ჩემთაგან.

**გ ა ლ მ ბ ა ვ.** სძლის-პირი.

სოფლისა ზღვა აღძრულ-არს, ღე-  
ლვითა ცოდვისათა საშინელად დამნთქამეს  
მე, და მოვივლტკი შენდა ნავთ-საყუდლი-  
სა, და ესრეთ გილაღადებ: დანთქმისაგან  
მიხსენ მე, მრავალ-მოწყალებ.

სჯუდიერ-მუჯე მე, უფალო, გზასა სა- იქ. 33.  
მართლთა შენთასა, და გამოვიძიო იგი  
მარადის.

მკვდრად მდებარე საფლავსა სასო-  
წარკვეთისასა აღმადგინე, მაცხოვარ, რო-  
მელი შუა-ღამე აღსდევ საფლავით, და

ღირს მყავ სინანულსა და ცრემლთა  
მხურვალეთა, მრავალ-მოწყალე.

იქ. 88.

დაამტკიანე მონისა შენისა თანა სიტ-  
ყვაა შენი, რათა შეშინოდეს მე შენგან.

ბანხმელ-არიან ხელნი ჩემნი საქმეთა  
მიერ ბოროტთა, შეუფეო, არამედ, რომე-  
ლმან მოციქულისა ხელნი განხილვითა  
მით წმიდა-ჰყვენ, განმწმიდე მეცა შუა-  
ლამესა.

იქ. 128.

ძააკლდა თვალთა ჩემთა მაცხოვარებისა  
მიმართ შენისა და სიტყვათა მათ სიმართლი-  
სა შენისათა.

ჰი მე, ძრისტე მაცხოვარ, ვითარ-ლა  
განგარისხე, ფრიად-საწყალობელმან. ჰი  
მე, ვითარ ვიხილო პირი შენი, რაჟამს  
განმიკითხვიდე, არამედ შემიწყალე შე-  
ქმნული შენი. ღიდება.

სამება ვარ მარტივი, ბუნებით შეყო-  
ფილი, ლვთაებით განუყოფელი, ხოლო  
პირებით განყოფილი, და ერთ-არსებით  
ქებული, იტყვის მამა და ძე და სული  
ცხოველი. აწდა.

ბუღს-მოდგინე-მყავ, სძალო, შუა-  
ლამე აღდგომად და ვედრებად შეფლისა,

და ძილი მძიმისა მკონარებისა განსდევნე,  
 ღედოფალო, მონისა შენისაგან და ახო-  
 ვან-მყავ.

წ ა რ დ გ ო მ ა , ხ მ ა მ .

ჰოველნივე ვილვიძებდეთ ღ ძრისტესა  
 მივეგებოდეთ, მორწმუნენო, სიმრავლითა  
 ზეთისათა და ლამპართა ბრწყინვალეებითა,  
 რათა სასძლოსა მას შინაგან ღირს-ვიქმ-  
 ნეთ, რამეთუ, რომელი კარსა გარეგან  
 დაშთეს, ურგებად ჰხმობდეს ღვთისა  
 მიმართ: შემიწყალე მე, უფალო.

ჰი მე, რასა ვემსგავსე უნაყოფოსა მას  
 ლელვსა, ღ მეშინის მე წყევლისა მისგან ღ მო-  
 კვეთისა, არამედ შენ, ზეცათა მუშაკო, ძრის-  
 ტე ღმერთო, უნაყოფოჲ სული ჩემი ნა-  
 ყოფიერად გამოაჩინე, და, ვითარცა უძღე-  
 ბი იგი შვილი, მეცა შემიწყალე ღ შემიწყ-  
 ნარე.

ღიდება, აწდა.

რომელი ქალწულისაგან აღმოუბრ-  
 წყინდი სოფელსა, ძრისტე ღმერთო, და  
 მის მიერ ძედ ნათლისად გამოგვაჩინენ, —  
 შეგვიწყალენ ჩვენ, ყოვლად-ძლიერო.

## გ ა ლ ო ბ ა ზ. სძლის-პირი.

ვსკოდეთ და უსჯულო-ვიქმნენით,  
და სიცრუე ვჰყავთ წინაშე შენსა, და არა  
დავიმარხეთ, არცა ვჰყავთ, შეუფეო, ვითარ  
იგი შენ მამცენ ჩვენ, გარნა ნუ მიმცემ  
ჩვენ სრულიად, მაღალო, მამათა ჩვენთა  
ღმერთო.

იქ. 96.

ყოფლისა დასასრულისა ვიხილე ოხჯანი,  
ფართო არს მცნება შენი ფრად.

ჰოველთა ღმერთო და უფალო,  
რომელმან აღმადგინე შუალამესა, — შენ  
მომბადლე მე შენდობაჲ ყოველთა შეცო-  
დებათა ჩემთა, და მომეც მოტევებაჲ  
ფრიად მრავალთა მათ თანანადებთა ჩემ-  
თა, და ბრალთა მათ ჩემთა კრულებანი  
განხეთქენ, ვითარცა დაჰხსენ ჯაკენი პეტ-  
რესნი.

იქ. 68.

ტვბილ-ხარ შენ, უფალო, და სიტკბოე-  
ბათა შენათა მასწავენ მე სიძარტლენი შენნი.

რომელმან შემქურე მადლითა, და  
შთამაცუ სამოსელი ნათლის-ღებისა და  
შემარტყ ძლიერებაჲ, — განამტკიცენ ფერხ-  
ნი ჩემნი, უფალო, და წარჰმართენ აღაგსა  
მცნებათა შენთასა, მრავალ-მოწყალე, და

ბრალთა მათ ჩემთა კრულებანი განხეთ-  
 ქენ, ვითარცა დაჰხსენ ჯაქენი პეტრესნი.

გულის-ხმა-მიყავ, და გამოვიძიო სჯუ-  
 ლი შენი, და დავიძარხო იგი უფუჯითა გულის-  
 თა ჩემათა.

იქ. 84

შენ ხარ მხსნელი ჩემი და ლმერთი,  
 შენ ხარ შეუფე და შემოქმედი ჩემი, და  
 შენდამი ვლალადებ მკერდსა ცემითა შუა-  
 ლამესა: შეგცოდე, შემინდევ და მიხსენ  
 საპყრობილისაგან ცოდვათასა, ვითარცა  
 ოდესმე იხსენ შილაჲ და შავლე საპყრო-  
 ბილისაგან შუა-ლამესა. ღიდება.

სამებასა დაშბადებელსა, დაუბადებე-  
 ლსა და ქებულსა კაცთა მიერ, მამისა  
 ძით და სულით წმიდითურთ, აღვიარებთ  
 სარწმუნოებით; და შიშით და ძრწოლით  
 ესრეთ ულალადებთ და ვიტყვით: კურთ-  
 ხეულ ხარ ღ ღიდებულ, მხსნელო მოსავთა  
 შენთა, შუალო, ლმერთო მამათა ჩვენთაო.

აწდა.

შაქებ, ვადიდებ და უგალობ და თაყ-  
 ვანის-ვსცემ წმიდასა ხატსა შენსა, და  
 ყოვლად დიდებულსა ძისა შენისა სახესა  
 სურვილით გამოვხატავ და ძრწოლით



ამბორს-უყოფ, და გიღალადებ: ჭი სძალო  
 ლეთისაო, შმიდაო ლედოთალო, მაცხოვნე  
 მონაჲ შენი გლახაკი.

გ ა ლ ო ბ ა ე. სძლის-პირი.

შრმათა საღმრთოთა პირველად  
 არცხვინეს მძღაგრებასა უღმრთოთასა, და  
 დღეს ჭრისტეს-თვის შეკრბა კრებული  
 ღვთის მბრძოლთა, და იზრახეს ზრახვაჲ  
 ბოროტისა და სიკვდიდ მისცეს განმა-  
 ხოველებელი მკვდართა, რომელსა ერნი  
 უფროსად ამალლებენ მას უკუნისამდე.

რომელსა წესთა ზეცისათა მხედრობა  
 აღიდებს დაუცხრომელად, და ზარ გა-  
 ნხდილნი ჰსძრწიან მისგან ძერუბინნი და  
 სერაბინნი, ვითარცა შთაღსა და შემოქ-  
 მედსა, — ყოველი დაბადებული და ყოვე-  
 ლი სული აქებდით და აკურთხევდით  
 მას უკუნისამდე.

იქ. 185.

გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა  
 ზედა, და მასწავენ შე სიმაართლენი შენნი.

სულისა იგი ჩემისა სანთელი განაბრ-  
 წყინვე, მუუფეო, რათა ლამპარი გონებისა  
 ჩემისა განვაპოხო და წელნი მოვირტყნე,  
 და მონათა მათ მნეთა მომლოდებელთა

თანა შუა-ლამისა განმზადებული მოველო-  
 დე მოსლვასა შენსა.

უფროს შტურთა ჩემთასა შენაე-  
 რ-შუავე შე მცნებათა შენთა, რამეთუ უკუნისამდე  
 ჩემნი არიან.

იქ. 98.

ნეტარ-არიან და ყოვლად-ბრწყინვა-  
 ლე მონანი იგი, რომელნი ჰპოვნენ მღვიძა-  
 რედ და განკრძალულად, მორახვიდე შუა-  
 ლამისა, ძრისტე შეუფეო, — ამისთვის მეცა  
 გვედრები; ღირს-მყავ მათ-თანა შიშით  
 მოლოდებად, რაჟამს მოხვიდე განკითხვად  
 დაბადებულთა.

ჰსთქვნეს ენამანცა ჩემსან სიტყვანი  
 შენნი, რამეთუ უფველნი მცნებანი შენნი სა-  
 მართლით არიან.

იქ. 172.

ნათელი დიდო ღმრისაძრწუნებელი,  
 ნათელი მიუწთომელი, მხოლოდ შობი-  
 ლო. ნათლისაგან მამისა გამოსრულო  
 ძრისტე, მომეც მე ლამპარი განმანათლე-  
 ბელი საღმრთოჲთა ზეთითა შენითა, რა-  
 თა არა დაშრტეს და ვგოდებდე ცუ-  
 დად ცოფთა მათ ძალწულთა თანა.

დიდება.

მსრეთ ვიცნობთ ჩვენ ჰეშმარიტსა

ღმერთსა: ბუნებით ერთ-არს ლვთაება, ხოლო თვითებით სამ-გვამოვნებით სრულად იცნობების სამ-ნათობიერი ერთი ბრწყინვალეობა, ერთი ფლოობა, ერთი არსება, სამება წმიდა უკუნისამდე.

აწდა.

საფარველსა და შეწვენასა შენსა შევევედრები, ქალწულო, ნავთ საყუდელიო ცოდვისა ბრალთაგან დელვა-გვემულთაო, დედაო ლვთისაო, მომანიქე მე სინანული და განძაძლიერე შუა-ლამესა დიდებად და გალობად შენდა, კურთხეულო.

**გ ა ლ ო ბ ა თ.** სძლის-პირი.

შერ შემძლებელ-ვართ დიდებად შენდა ჯერისაებრ ქვეყანისანი და მოუძღურდებიან ზეცისანი, ლვთის-მშობელო, რამეთუ უზესთაეს იქმენ; შეიწირე სარწმუნოებაჲ ჩვენი, უწყით სიყვარული შენი და, ვითარცა ნათელსა ძრისტვანობისასა, გადიდებთ.

ღედისა ლვთისა უთესლოდ მიდგომილება და უხრწნელი შობა გამოუთარგმანებელ არს, რამეთუ ლვთისა შობა ჰსძღვეს ბუნებისა საზღვართა, ამის-



იქ. 176.

შეესტთა მე, ვითარცა ცხოვარი წუმედუ-  
 ღი მკმიძიე მონაჲ შენი, რამეთუ მცნებანი  
 შენნი მე არა დავივიწყენ.

ჴი ძრისტე ლმერთო, ძეო ლეთისა  
 მადლისაო, მხოლოდ-შობილო, მოწყალეო  
 და სახიერო, -მაცხოვნე, შემიწყალე ღ ღირს-  
 მყავ მე განთენებადმდე უცონელად დგო-  
 მად წინაშე შენსა, შევრდომად და ვედ-  
 რებად შენდა ურცხვენელითა გონებითა  
 მეოხებითა მშობელისა შენისაჲთა.

ღიდება.

ჴი სამებაო წმიდაო, მრთ-არსებაო,  
 მამაო, ძეო და სულო შოვლაღ-წმიდაო,  
 ლმერთო, ლმერთ-მთავრობაო, სამ-გვა-  
 მოვნებით ცნობილო და ერთ-არსებით  
 აღსარებულო, — დაგვიცვენ ჩვენ, უღირსნი  
 მონანი შენნი, რამეთუ ესე წარდგომილ-  
 ვართ წინაშე შენსა ვედრებად შუა-ღამესა.

აწდა.

შენ ხარ ცოდვილთა შემწე, ლეთისა  
 ლედაო, შენ განმარინე მე უღირსი მონაჲ  
 შენი ბნელისაგან მწარისა, წყვდიადისა  
 და მატლისა, და დასჯისა და ღრქენისა-  
 გან კბილთასა, ფრიად შეცოდებული

ესე და უგუნური, ჭი შმიდაო დედოფალო,  
სასოო განწირულთაო.

დიდება შენდა, ლმერთო ჩვენო,  
დიდება შენდა.

აჰა ესერა, შმიდაო დეთისა-დედაო,  
შენდა მომართ მოვივლტვი სასოჲსა მაგის  
ჩემისა, შიშით მუხლთა მოვიდრეკ, და  
ძრწოლით ხელთა აღვიპყრობ, და სიღრ-  
მით გულისაჲთა გიღალადებ: მოჰხედენ ვედ-  
რებასა ჩემსა, შოვლად-შმიდაო, და ნუ  
მიხედავმწიკვლევაწებასა სულისა ჩემისა.  
შმიდაო ლმერთო, მამაო ჩვენო.



14435740

0000000000





გალოზა უფლისა ჩვენისა იესო  
ქრისტეს მიმართ.

ხმა 3.

გალოზა ა. სძლის პირი.

ზღვა მეწამული კვერთხმან განაპო:  
განხმეს სიღრმენი, და უფსკრულ იქმნეს  
გზა უქურვილთა და შექურვილთა მათ  
საფლავ, არა დამმარხველ გვამთა; გალოზით  
უგალობდეთ, რამეთუ დიდებულ არს დი-  
დებით ქრისტე, ღმერთი ჩვენი ცხოველი.

იესო ტკბილო, ქრისტე იესო სულ-  
გრძელო, სულისა ჩემისა წყლულეზანი



განჰკურნენ, იესო, და დაატკბე გული  
 ჩემი მრავალ მოწყალე, გვედრები, იესო  
 მაცხოვარო ჩემო, რათა გადძლო მე ცხოვ-  
 ნებულმან.

იესო ტკბილო, ძრისტე იესო, განმი-  
 ლე მე სინანულისა კარი, კაცთმოყვარე  
 იესო ჩემო, შემიწყნარე მე შენდა მოლ-  
 ტოდვილი და მხურვალედ მთხოველი,  
 იესო მაცხოვარო ჩემო, ცოდვათა მო-  
 ტევებისა.

იესო ტკბილო, ძრისტე იესო, გა-  
 მომიტაცე ხელთაგან მტერისა მის ბელია-  
 რისათა, იესო, და ღირს-მყავ მარჯვენით  
 წარდგომად დიდებისა შენისა, იესო მაც-  
 ხოვარო ჩემო, ნაწილსა მარცხენეთასა  
 დამხსნელო ჩემო.

დიდება.

იესო ტკბილო კაცთმოყვარეო, ძრი-  
 სტე იესო, შემინდვენ მე ცოდვით და-  
 ცემანი სულისა ჩემისანი, და ჰყავ გული  
 ჩემი, იესო, სავანედ შენდა, თანა მამით  
 და სულით წმიდითურთ.

აწდა.

იესო ქრისტეს ღვთისა მშობელი, ევედრე უხმართა ამათ მონათა შენტათვის, ყოვლად წმიდაო, რათა ლოცვითა შენითა სატანჯველთაგან, უბიწოო, ბიწიანქმნილნი ესე გვიხსნეს, და შევეტკბეთ ღიდებასა სამარადისოსა.

**გალობა ზ. სძლის-პირი.**

სამებაო წმიდაო, აღამაღლე რქაჲ ეკლესიისა დღეს, მიუდრეკელიად უზესთაჲს ბუნებათა სიმაღლესა ზედა სარწმუნოებისა შენისასა საფუძველსა შეურყეველსა, და მას შინა განმადლიერენ.

იესო კაცთ-მოყვარეო, იესო ჩემო, მონაჲ შენი, რომელი ესე გიღალადებ სინანულითა, დამიხსენ, იესო, დასჯისა და ტანჯვისაგან, მხოლოო სულგრძელო უფალო, იესო ტკბილო მრავალ-მოწყალე.

აღმადგინე მე, იესო ჩემო, მონაჲ შენი დაცემული, იესო ჩემო მაცხოვრე მე მონანული, იესო ჩემო, და გვენისაგან მიხსენ, იესო, დასჯისა და ტანჯვისაგან, მხოლოო სულგრძელო უფალო, იესო ტკბილო მრავალ-მოწყალე.

დიდება.

ჰაბი, იესო ჩემო, რომელი მომეც,  
 ვნებათა შინა წარვლე, იესო ჩემო.  
 ამისთვის ნუ განმაგდებ მე, იესო ჩემო,  
 არამედ კვალად მომიწოდე, გვედრები  
 შენ, მეუფეო, იესო ტკბილო, და მაც-  
 ხოვნე მე. აწდა

ძალწულო, მშობელო იესოს ჩემი-  
 საო, ევედრე მას ჰხსნად ჩვენდა გვენბ-  
 საგან ცეცხლისა, მხოლოო ლეთისა მტვი-  
 რთველო, შესავედრებელო ქირვეულ-  
 თაო, ლეთივ-მიმადლებულო, და ღირს-  
 მყავ მე ცხოვრებასა დაუსრულებელსა.

წარდგომა, ხმა გ.

მაცხოვარო ჩემო იესო, რომელმან  
 აცხოვნე უძღვები იგი, მაცხოვარო ჩემო  
 იესო, რომელმან შეიწყნარე მეძავი იგი,  
 აწ მეცა შემიწყნარე იესო მრავალ-მოწყ-  
 ყალეო, მაცხოვნე, მოწყალე შექმენ, ჰოი  
 იესო ქველის-მოქმედო, ვითარცა მანასე,  
 სახიერო იესო ჩემო, ვითარცა მხოლოო  
 კაცთ-მოყვარე ხარ.

**ბალოზა დ.** ძლის-პირი.

რაჟამს წინასწარმეტყველმან იხი-  
ლა საიდუმლოჲ დაფარული, განკვირვე-  
ბულმან დაღადჰყო: რამეთუ დაჰსდევ  
წყალობით სიყვარული მტკიცე, მამაო,  
და ძე შენი მხოლოდ-შობილი მოეც ძეთა  
კაცთა მომტევებელად ცოდვათა.

ზანჰკურნე, იესო ჩემო, სულისა ჩე-  
მისა წყლულებანი, იესო ჩემო, გვედრე-  
ბი, რათა გამომიტაცო მე, იესო ჩემო  
სახიერო, ხელთაგან სულთა განმხრწნელ-  
თა ბელიარისათა, და მაცხოვნე მე.

შეგცოდე, იესო ჩემო სახიერო,  
იესო ჩემო, მაცხოვნე მე მოღატოლვილი  
საფარველისა შენისა მიმართ, იესო ტკბე-  
ლო, სულგრძელო და კაცთ-მოყვარეო,  
და სასუფეველსა შენსა ღირს-მყავ მე.

**დიდება.**

არა რომელმან შეგცოდა, იესო ჩე-  
მო, ვითარ მე შეგცოდე უბადრუკმან  
და უღირსმან, არამედ კვალად შენ გვე-  
დრები: იესო ჩემო, მაცხოვნე, და მომა-  
ნიკე ცხოვრებისა მის დამკვიდრებაჲ.

აწდა.

შენ ყოვლად საგალობელო იესო  
 ძრისტეს მშობელო, მას ვევედრე, რათა  
 ვიხსნნეთ სატანჯველთაგან ყოველნივე  
 მგალობელნი შენნი, რომელნიცა ჭეშმა-  
 რიტად ღვთისმშობლად გხადით და გა-  
 დიდებთ შენ.

გალობა მ. სძლის-პირი.

ბნელისაგან ცოდვათასა გიღალა-  
 დებენ შენ სულნი ჩვენნი, მრავალ მოწ-  
 ყალეო ღმერთო, ნათლითა მით მიუაჩ-  
 რდილებელითა განგვანათლენ და წარგვი-  
 მართენ სლვანი ჩვენნი, მახარებელო  
 მშვიდობისაო.

შენ ხარ სიქადული, იესო, გონები-  
 სა ჩემისა, და სასო განწირულისა სული-  
 სა, იესო ჩემო, მიხსენ დასჯისა მისგან,  
 რომელი ესე გიხმობ: მაცხოვრე შე, იესო  
 ძრისტე, უბადრუკი ესე.

შოვლადვე, იესო ჩემო, ვნებათა  
 მიმართ უკეთურებისათა ჰშთავრდომილი  
 გიღალადებ: იესო ჩემო, შეწვევისა ხელი  
 მიპყარ და აღმომიწოდე რომელი გიღალა-  
 დებ: მაცხოვრე, იესო ჩემო ტკბილო.

**ღიდება.**

ზონებისა მწიკვლთა მქონე, იესო ჩემო გილალადებ შენ, განსწმიდე მწიკვლი ცოდვათა, მიხსენ სიღრმისაგან ბოროტისა უმეცრებით ჰშთავრდომილი ესე, სახიერო იესო ჩემო, გვედრები.

**აწდა.**

ძრისტეს მშობელო ძალწულო, ლეთისა დედაო, მას ევედრე აწ, რათა გვიხსნეს ყოველნივე მორწმუნენი და ერნი დასჯისაგან, რამეთუ შენსა გარეშე შუამდგომელი და მხსნელი სხვა არავინ ვიცით.

**ბალობა 3. სძლის-პირი.**

მუცლად ილო იონაჲ ვეშაპმან და-არა განჰხრწნა მან იგი, რამეთუ მით მოასწავა სახე სამ-დღე დაფლვისა შენისა, რომელმანცა დაფლვაჲ თავს-იდეგ ჩვენთვის, სახიერ, ლეტყოდა იგი მცველთა მათ: ჰი ცრუნო, წყალობაჲ თქვენი დაუტევეთ თქვენ დღეს.

იესო ჩემო, ძრისტე მრავალ-მოწყალე, აღვიარებ: შემიწყალე; ჰი იესო მაცხოვარო, ხრწნილებსაგან მიხსენ.

იესო ჩემო, რამეთუ არავინ იქნა ეს-  
 რეთ უძღებ, ვითარ მე ვნებული, ზიკატ-  
 მოყვარეო, არამედ შენ, იესო ტკბილო,  
 მაცხოვრე მე. **ღიდება.**

იესო ჩემო, მეძავსა მას და უძღებ-  
 სა, მანასეს და მეზვერესა, და ყოველთა-  
 ვე მცოდველთა, პირველთა და შემდგო-  
 მთა, წარვჰხედ, იესო ჩემო, ვნებათა და  
 სიბილწეთა მიერ, კვალად ავაზაკსა და  
 ნინეველთა, იესო ტკბილო, სინანულსაცა  
 მათსა ღირს-მყავ. **აწდა.**

იესოს ჩემისა, ძრისტეს ლეთისა მშო-  
 ბელო, შოვლად-წმიდაო ძალწულო, სა-  
 ხლო ლეთისაო მარიაო, მხოლოო შეუგი-  
 ნებელო, შეგინებული ესე და კეთილ-  
 თაგან ყოვლად ცალიერი, აწ ლოცვათა  
 შენთა უსუბითა განმწმიდე, და შეურვე-  
 ბულსა ნუ დამაგდებ, კურთხეულო.

**კონდაკი, ხმა 3.**

იესო ტკბილო, სოფლისა ნათელო  
 და სიტკბოებო, დაბნელებულისა სული-  
 სა ჩემისა თვალნი განმინათლე, ძეო ლეთი-  
 საო, ლეთივ-ბრწყინვალითა მით ნათლითა  
 შენითა. იესო, მწყემსო ტკბილო, მომი-

ძიე, რათა გიგალობდე, ნათელსა შავსა დაუღამებელსა.

**გალობა ზ.** სძლის-პირი.

ჰსკოდეთ და უსჯულო-ვიქმნენით და სიცრუე ვჰყავთ წინაშე ჴენსა, და არა დავიმარხეთ, არცა ვჰყავთ, მეთუფეო, ვითარ იგი ჴენ მამცენ ჩვენ, გარნა ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად, მაღალო, მამათა ჩვენთა ლმერთო.

ძრისტე იესო ჩემო, არა რომელმან ჰსკოდა ქვეყანასა ჴედა საუკუნითგან, იესო ჩემო, ვითარ მე ვჰსკოდე უბადრუკმან და უძღვებმან, ამისთვისცა გიღალადებ, იესო ჩემო, და გვედრები ჴენ: მოწყალე მექმენ, მოწყალეო იესო, უფალო, ლმერთო მამათა ჩვენთაო.

იესო ძრისტე, მრავალ გზის აღვითქუ ვნებულმან სინანული და გეცრუე უბადრუკი, და აწ კვალად უგრძნობელად მყოფი ესე გიგალობ ჴენ: სული და გონებაჲ ჩემი განაბრწყინვე, ძრისტე სახიერო, კურთხეულო იესო, უფალო, ლმერთო მამათა ჩვენთაო. ღიდება.

ძრისტე იესო, ჴენ გიღალადებ: შიშ-



სა მას შენსა შემსკვალე გული ჩემი,  
 იესო ჩემო, წარმიძღვ მყუდროებისა ნავთ-  
 საყუდელად, იესო ჩემო, რათა ცხოვ-  
 ნებული გიღალადებდე, მოწყალე შექმენ  
 მე, კურთხეულო იესო, უფალო, მამათა  
 ჩვენთა ლმერთო. აწდა.

ძრისტეს იესოს მშობელო სძალო,  
 საშინელო უმეტეს ბუნებათასა, ვევედრე,  
 შოვლად-შმიდაო, მოტევებად ყოველთა  
 ცოდვათა ჩემთა, ძალწულო, რათა გი-  
 წოდდე ცხოვნებული: კურთხეულ-ხარ  
 ღედოფალო, ღვთისა ხორცითა მშობელო.

**გალობა მ.** სძლის-პირი.

შმიდანი შენნი ყრმანი ბაბილონს  
 შინა, ქერაბინთა მიმსგავსებულნი, სამსა  
 წმიდასა გალობასა იტყოდეს: გაკურთ-  
 ხევთ შენ, გიგალობთ და აღგამალლებთ  
 ყოველთა ლმერთსა.

შენ გევედრები, იესო ჩემო, ვითარ-  
 ცა მეძავი იგი, იესო, იხსენ მრავალთა  
 ცოდვათაგან, ეგრეთვე მე, იესო ჩემო,  
 მიხსენ, და წმიდა ჰყავ გონებაჲ ჩემი  
 შევინებული.

მივსღევდ, იესო ჩემო, პირუტყვე-

ბრივთა გემოთა, — პირუტყვად ვჰსჩან, და ქეშმარიტად, იესო ჩემო, ვნებითა პირუტყვთა მივემსგავსე, — მაცხოვარო ჩემო იესო, პირუტყვებაჲსაგან მიხსენ.

ღიდება.

ჰშთავვარდი, იესო ჩემო, განმხრწნელთა ავაზაკთა შორის, განმეძარცვა სამოსელი ლეთივ-ქსოვილი და მდებარე ვარ წყლულებით, — გვემულსა ამას დამასხ ზეთი და ღვინოჲ წყალობისა.

აწდა.

იესოს ჩემისა ლეთისა მტვირთველო, ლეთის-მშობელო, გამოუთქმელად, — მას ევედრე ხსნად ჩვენდა ქირთა და ურვათაგან, მონათა ღმგალობელთა შენთა, ძალწულო.

**გალობა თ.** სძლის-პირი.

შენ მხოლო სანატრელ ხარ თესლებსა შორის, ძალწულო, რამეთუ გამოგვიბრწყინდა შენგან ნათელი მსხდომარეთა ბნელსა მას შინა და განანათლნა სულნი ჩვენნი, — ამისთვის, ლეთის მშობელო, სამართლად გადიდებთ.

თანა-წარვჰხედ მანასეს, მეზვერესა და მეძავსა, და უძღებსა, მოწყალეო

იესო ჩემო, და ავაზაკსა საქმეთა მათ  
 შინა სირცხვილისა და უადგილოსათა,  
 იესო, არამედ შენ, იესო ჩემო, ისწრაფე  
 და მაცხოვრე მე.

ადამისითგან, იესო, ყოველთავე მკო-  
 დველთა უწინარეს სჯულისა და სჯუ-  
 ლსა შინა, და შემდგომად სჯულისა  
 მძლე ვექმენ მადლსა ვნებათა მიერ, უბა-  
 დრუკი, არამედ შენ, იესო, სასჯელითა  
 მით შენითა მაცხოვრე მე.

#### დიდება

ნუ განმყოფ მე, იესო, გამოუთქმე-  
 ლისა მის დიდებისა შენისაგან, ნუმცა  
 მექმნების ნაწილი იგი მარცხენე, ტკბი-  
 ლო, არამედ მარჯვენით ცხოვართა თანა  
 შენთა შემრთე, ძრისტე, იესო ჩემო  
 ტკბილო, და განმისვენე.

#### აწდა.

იესოს — ღვთისა მშობელო, რომლი-  
 სა მტვირთველ იქმენ, მხოლოო გამოუ-  
 ცდელიო ქორწილისაო ძალწულო, მოწ-  
 ყალე-ჰყავ იგი, რათა გვიხსნეს ქირთა-  
 გან და ცეცხლისა მისგან მერმისა მოს-  
 ლვადისა.



და სასურველო, ძრისტე, შემიწყალე  
 ოხითა მშობელისა შენისაჲთა და ყო-  
 ველთა წმიდათა შენთაჲთა, მოციქულთა  
 და წინასწარ-მეტყველთა, და წმიდათა  
 ზეცისა ძალთა' მეოხებითა, იესო, სამოთ-  
 ხისა შევებასა ღირს-მყავ, იესო კაცთ-მო-  
 ყვარეო. ღიდება.

იესო ყოვლად ტკბილო, მონაზონ-  
 თა ღიდებო, მმარხველთა სიწმიდო  
 და შემამკობელო მოღვაწეთაო, იესო,  
 მაცხოვრე. მაცხოვარო ჩემო სახიერო,  
 გველისა მისგან ხელთასა განმარინე, იე-  
 სო, და აღმომიყვანე მღვიმით ქვესკნე-  
 ლით, და მარჯვენით ცხოვართა შენთა  
 თანა შემრაცხე, იესო სახიერო, მაშვრა-  
 ლი და ტვირთ-მძიმეჲ. აწდა.

ნუ მიმანდობ კაცობრივსა განზრა-  
 ხვასა, ყოვლად-წმიდაო ღედოფალო, და  
 დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ნუ დამაგ-  
 დებ. არამედ მეოხ გვეყავ და გვაცხოვ-  
 ნენ ქირვეულნი, რამეთუ შემწე ხარ მო-  
 ვლად ძლიერი, ძალწულო ღვთისა ღე-  
 დაო, და მტერთა დამცემელი, და უცხო  
 თესლთა მომსრველი; ექმენ თანაშემწე

ხელმწიფესა ჩვენსა მორწმუნესა ნიკო-  
ლაოზს, და ერსა ჴენსა და ქალაქსა  
მგალობელსა, და იხსენ ყოველთა გან-  
საცდელთაგან ქრისტეანენი.





წმ. მცველი და მფარველი  
ანგელოზი.



ბალობანი წმიდისა ანგელოზისა მი-  
მართ, მცველისა სულთა და ხორც-  
თა ჩვეთასა, ხმა ც.

ბალობა ა. სძლის-პირი.

უგალობდეთ უფალსა, რომელმან  
განიყვანა ერი თვისი ზღვასა მას მეწამულ-  
სა. მას მხოლოსა უგალობთ, რომელიცა  
დიდებულ არს.

ბალობად და ქებად, მაცხოვარო  
ჩემო, მონაჲ ესე შენი ღირსად გამომაჩინე,  
უხორცოსა მის ანგელოზისა, წინამძღვა-  
რისა და მცველისა ჩემისა.

შემიწყალე მე, რამეთუ მხოლო უდე-  
ბებით და უგულისხმოებით მდებარე ვარ,  
წინამძღვარო ჩემო, მცველო ანგელოზო,  
ნუ დამიჩვენებ მე წარწყმედილსა.

დიდება

ბონებაჲ ჩემი წარჰმართე ვედრებითა



შენითა ყოფად ბრძანებათა ლეთისათა, რათა მივემთხვიო მისგან მოტევებასა ცოდვათასა, და მოძულებად ძვირთა წარმიძელჳ, — გვევდრები შენ. აწღა.

მვედრე, ძალწულო, ჩემ მონისა შენისათვის სახიერსა ლშერთსა მცველისა მის ჩემისა თანა, და მიძლოდჳ მე ყოფად მცნებათა ძისა შენისათა.

**გალობა 8.** სძლის-პირი.

